"ნაყოფთა მათთგან იცნენეთ იგინი"

(მათე 7,16)



# მამა შალვა (შუბითიძე)

(გახსენება)

მამა შალვას (შუბითიძე) გარდაცვალებიდან სამი მიწიერი წელიწადი გასრულდა. ის ჯერ კიდევ ერისკაცობაში გახდა უფლის რჩეული. ზეციდან გადმოსული მადლით შექმნა შესანიშნავი პოემა “დავით აღმაშენებელი”, რომელიც უფრო და უფრო აქტიური ხდება საზოგადოებისათვის.

დღისით და ღამით, ეკლესიაში თუ მის გარეთ ლოცულობდა საქართველოსთვის და ჩ ვ ე ნი სოფლისთვის. სურდა, რომ ერთ დროს ცოდნის მოყვარეობით განთქმულ სოფელში ცნობის მოყვარეობას არ ეზეიმა. უფლის სადიდებლად და ხალხის რწმენაში განმტკიცებისათვის აღაშენა სამების წმიდა გიორგის, მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიები. საფუძველი ჩაუყარა წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მშენებლობას.

“მე რომ მცოდნოდა ასეთი რთული იყო მღვდლობა, გამიჭირდებოდა გადაწყვეტილების მიღება. ” _ იტყოდა ხოლმე მამა შალვა და სახარებისეული სიბრძნით დაგვმოძღვრავდა: “უკეთუ არა აღე მ ატნ ე ს სიმ ართლე თქ ვ ე ნი უფროს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა.” (მთ. 5. 20)

საქართველოს ერთ_ერთი მოღვაწის, დეკანოზის, მამა შალვას ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მოძღვრები.

**იოსებ სიბოშვილი.**



მთავარანგელოზთა სახელობის  ტაძრის კურთხევა

ეპისკოპოსები: ექვთიმე (ლეჟავა), ლუკა (ლომიძე)
და დეკანოზი შალვა (შუბითიძე)



მამა შალვა ქადაგებისას.
სტიქაროსანი გიორგი წიკლაური, ამჟამად
სქემმღვდელმონაზონი მამა სერაპიონი



მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის კურთხევა





მრევლთან ერთად



მწერალთა კავშირის თავმჯდომარის
სტუმრობა სართიჭალაში



მრევლის წევრები ტრაპეზის მომზადებისას



მამა შალვა და სიმონ გოჩიტაშვილი



დაკრძალვის წინ მის ცხედარს ნათელი დადგა